აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №10-ს

2020 წლის 16 ივნისი

ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორების საბჭოს შექმნის შესახებ

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-2 პუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 57-ე მუხლის შესაბამისად, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:**

მუხლი 1

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **ჯემალ გამახარია**
თავმჯდომარე